გაზეთი ღირს

თთვე	მან. კ.	თთვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 50
10	7 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ თფილისში რედაქციას, ახალ-ზუბოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, შავერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურსა ძმ. ჭრიქეროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1886 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1-ლის აგვისტოდამ წლის დამლევამდე ღირს 5 მ. 50 კაპ.

ტფილისი, 8 აგვისტო

გუშინდელს ნომერში რამდენადაც გარემოებამ ხელი შეგვიწყო, ვეცადენით გერმანიის დღევანდელი გაჭირება წარმოგვედგინა მკითხველთათვის. რა ღონეს იღონებს ბისმარკი ამ გაჭირებისაგან გამოსვლისათვის აი საკითხავი, რომლის გამო ათას ნაირი სხვა-და-სხვა მითქმა-მოთქმაა ჟურნალ-გაზეთობაში. ამაში კი ყველანი დარწმუნებულნი არიან, რომ ერთი ღონე — ავსტრიაა. რომ ეს მართალია ჯერ იმით მტკიცდება, რომ კისინგენში ერთმანეთი ინახულეს ბისმარკმა და ავსტრიის მინისტრმა კალნოკმა. მერე ზედ მოჰყვა ამ მინისტრების ნახვას თვით იმპერატორების შეყრა გასტეინში. საყურადღებოა ისიც, რომ გერმანიის იმპერატორს ვილჰელმს თითქმის მთელი საგარეო საქმეთა სამინისტრო თან ახლდა, ავსტრიის იმპერატორს ახლდა თავისი მინისტრი კალნოკი. ამ გარემოებიდამ გამოჰყავთ ის, რომ ბისმარკი და კალნოკი ერთმანეთს მოურიგდნენ კისინგენში ყველაფერზედაო და ეხლა იმპერატორები ავსტრიისა და გერმანიისა იმიტომ-და შეიყარნენ გასტეინში, რომ კისინგენში მორიგებული საქმე გასტეინში თავისის სიტყვით დაამტკიცონო.

აშკარააო, ამბობენ ჟურნალ-გაზეთები, გერმანია და ავსტრია მორიგებულან მასზედ, რომ მათ ორსავეს ერთი საზოგადო მტერი ჰყავთო. თუ ეს არა ჰქონიათ ფიქრადაო, რად მოსდომებიათ ერთმანეთთან ზავის შეკვრა, რომელიც უკვე შეკრული იყო; ხოლო ჩვენ კი გვგონია, რომ ამ საგანზედ ლაპარაკი და მორიგება სრულებითაც საჭირო არ იყო. დღეს გერმანიას შიში აქვს მარტო საფრანგეთისა, თუ ამ ახლო ხანში ომი გავარდება, პირველად იქიდამ გავარდებაო. ეს არა ერთხელ და ორჯელ უთქვამს თვითონ ბისმარკსა პრუსიის პარლამენტში, როცა პოლიაკების განდევნის გამო სიტყვა ჩამოვარდა. საფრანგეთის დღე-ყოველ მზადებამ, დღე-ყოველ ქადილმა და მუქარამ, რომ სამაგიერო უნდა გადავუხადოთ გერმანიასაო, — ამას საფრანგეთში აღარ ჰმალვენ, — შიში განუძლიერა ბისმარკს. იქნება მარტოდ-მარტო რომ საომრად გაემკლავოს საფრანგეთსა, ბისმარკი არც კი მოერიდოს ომსა, მაგრამ ცალკე რუსეთის შიში აქვს, ვაი თუ მიემხროს საფრანგეთსაო და მაშინ კი ომი გასაბედი არ იქნება ბისმარკისათვის, თუ ძლიერი მომხრე ყოველ შემთხვევისათვის წინადვე არ შეიპირა. ამისთანა მომხრე ყველაზედ უწინარეს ავსტრიაა.

აი, ჩვენის ფიქრით, კისინგენში რა გულის ტკივილი ექმნებოდა ბისმარკს, როცა კალნოკს ელაპარაკებოდა და ურიგდებოდა.

ავსტრი-ვენგრიის ისტორია ამ ბოლოს ხანებში ისე მიიმართა, რომ ხსნა და დღეგრძელობა მისი ეხლა სლავიანთა ქვეყნებია და ადრიატიკის ზღვისაკენ გზის გახსნა, ერთის სიტყვით, ავსტრო-ვენგრიის თვალი და ყური ბალკანიის ნახევარ კუნძულზედ არის მიქცეული. რასაკვირველია, აქ რუსეთი ავსტრიას არაფერს არ დაუთმობს, იმიტომ-რომ რუსეთის ისტორიაც აქედ არის მიდრეკილი. აღმოსავლეთში გაუფლება ისტორიული ანდერძიაო რუსეთისა, ამბობენ რუსეთის გაზეთები.

თუ ავსტრია მოჰრიგებია კისინგენში და მერე გასტეინში გერმანიას, უეჭველია ჯარით შეწევნას არ დაჰპირდებოდა ბისმარკს, იმიტომ-რომ ავსტრიის ომში ჩარევა და მთელის ევროპის ერთმანეთთან დაჯახება ერთი იქნება და ამ საერთო დაჯახებისაგან ძალიან საფიქრებელია, რომ ავსტრია ბევრს დაჰკარგავს. ერთის მხრით იტალია, რომელსაც თვალი უჭირავს ავსტრიაზედ, ერთი როგორმე მოუსხლტეს ფეხი, რომ იტალიელნი ტრიენტისა და ტრიესტისა შემოვიერთოვო და ადრიატიკის ზღვისაკენ წინ გადავვლოვო, თორემ ხმელთა შუა ზღვაში მოცილედ გამიხდებაო, მეორეს მხრით, რუსეთი, რომელსაც თვალში დიდი ხანია არ მოსდის ავსტრიის გაძლიერება ბალკანის ნახევარ კუნძულზედ, ახლა შინ თვითონ ვენგრია, რომელიც როგორღაც ვერა თავსდება საკუთრივ ავსტრიასთან — ყოველივე ეს დიდს განსაცდელში ჩააგდებდა ავსტრიას, თუ საერთო ომი მოხდა ევროპაში.

ავსტრიამ ეს კარგად იცის. ამიტომაც, აგი ვამბობთ, არა გვგონია, იგი დაჰპირებოდეს ბისმარკს, ჯარით გიშველიო, თუ საფრანგეთთან ომი აგიტყდებაო. უფრო დასაჯერებელია, რომ ავსტრიამ აღუთქვა ბისმარკს მეგობრული ნეიტრალიტეტობა. სამაგიეროს რას დაჰპირდებოდა ბისმარკი? გერმანია გიშველისო, ეტყოდა ბისმარკი, შენი სურვილი აისრულო ბალკანის ნახევარ-კუნძულზედაო. ეს ლუკმა მეტად სანუკვარია ავსტრიისათვის და არა გვგონია, ამისთანა პირობას არ დაეძლია ავსტრია.

ახალი ამბავი

⁂ სკრის ხიდის თაობაზე კიდევ მოგვივიდა შემდეგი ამბავი: სკრის ხიდი გადებულია მტკვარზე, ქალაქ გორის ზევით 10 ვერსზე და მნიშვნელობა მხოლოდ მაშინა ჰქონდა, როცა რკინის გზა არ იყო და ფოსტაც, ჯარიცა და ხალხიც ასრედ წოდებულის «სამხედრო იმერეთის გზით» დაიარებოდაო. ეხლა, რაკი რკინის გზა გაიყვანეს და რკინის გზის სადგური ასცდა სოფ. სკრას და თითქმის 10 ვერსით მოშორდა ხიდს, ხიდმა თითქმის სრულიად დაჰკარგა მნიშვნელობა. გზები და ხიდები ეხლა ისე უნდა დაიმართონ, რომ რკინის გზის სადგურიდამ ემარჯვებოდეს ახლო-მახლო სოფლებსა. რკინის ხიდზე კი ამას ვერ ვიტყვით. უწინდელი ფოსტის გზაც თავ-მინებებულია და მხოლოდ ომიანობის დროს, ან არტილერიის ჯარების გადაყვან-გადმოყვანისათვის თუ შეკეთდება ხოლმე ცოტაოდენად. ამისათვის ყოვლად სასარგებლო იქმნება, რომ სკრის ხიდი გადაიტანონ ცოტა ზევით, ქარელის რკინის გზის სადგურთან და გზა-ტკეცილიც იქამდე აიყვანონ, ხოლო მტკვრიდამ ან ამ ახალ ხიდიდამ ძველ გზა-ტკეცილამდე გასაკეთებელი იქმნება გზა-ტკეცილი სულ 3—4 ვერსზე. ეს გზა-ტკეცილი შეუერთდება აქ ძველს გზა-ტკეცილსა სწორედ იმ ალაგას, საიდამაც იწყობა ცხინვალის ქვა-ფენილი გზა; ამ გზით დადის დღეს თითქმის მთელი ცხინვალის ხეობის ნახევარი რიცხვი მცხოვრებელთა. თუ მართალია ის ხმა, რომ მთავრობას გადაუდვია ფული სკრის ხიდის შეკეთებისათვისაო და თუ მართალია აგრეთვე ისიც, რომ თთ. ციციშვილებს უსასყიდლოთ განუზრახავთ ხე-ტყის დათმობა, უკეთუ ამ ხიდს ქარელში ამოიტანენ, მაშინ, ჩვენის აზრით, ამ საქმეს წინ აღარა უნდა დაუდგეს-რა და მთავრობამ უნდა შეიწყნაროს ეს ქვეყნისათვის სასარგებლო და საკეთილო დაწყობილობა. თუ იმას იტყვიან, რომ ერთი ნაწილი ლიახვის პირის სოფლებისა, ესე იგი მის დასავლეთის ნაპირზე მდებარე სოფლები დაშორდებიან სკრის ხიდს და გორში სიარული გაუძნელდებათ ლიახვის გადიდების დროსაო, ეს ვერაფერი საბუთი იქმნება ქარელში სკრის ხიდის გადატანის საწინააღმდეგოდ. ლიახვი ადიდებულია მხოლოდ ერთის თვეის განმავლობაში და უმრავლესობამ მაზრის მცხოვრებლებისამ რად უნდა ითმინოს უხიდობა და უხერხელობა. მხოლოდ იმიტომ, რომ ერთის თვეისთვის ამ ლიახვის პირა სოფლებს

ფელეტონი

უცხოთა შორის

გერმანიის პატარა ქალაქი ჰეიდელბერგი.—რადა სცემენ ნემეცები ამ ქალაქს დიდს პატივს?—ძველი და ახალი სტუდენტობა.—ხუთასის წლის უნივერსიტეტი.—შეფლე და იმის ლექსი.—ვინ არის ბედნიერი ერი?—პაპის საჩუქარი.—„ვარდის კვირა“.—„ოქროს ვარდი“.—მრისხანე ძუძუთა ხელმწიფე.—როგორ ელაპარაკება ეს მეფე მანდილოსნებს?—ობოლი-მოხუცი ოსმალი.—მისი პოლიტიკა.—რა სიტყვა უთხრა ამ მოხუცმა სულთანს?—რა ცოდნა გამოიჩინა ამ მოხუცმა პოლიტიკაში?

მშვენიერს სანახავს წარმოადგენს გერმანიის ერთი პატარა ქალაქი, ჰეიდელბერგი. გარშემო ქალაქს ახვევია მშვენიერი, თითქოს განგებ ხელით ნახატი, მწვანით შემოსილი მთები, შორს მოჩანს დაცემული, ამწვანებული ველი და ჩუმი, მშვიდი მდინარე რეინი, რომელიც დინჯად და აუჩქარებლად მიეზიდება თავის წყნარ და ანკარა ზვირთებსა. ასეთს სანახავს წარმოადგენს თვალისთვის ეს პატარა ქალაქი, რომელსაც დღეს მთელი გერმანია დიდის მოწიწებით პატივსა სცემს.

თავის გარეგან სიმშვენიერით კი არ დაიმსახურა ჰეიდელბერგმა ასეთი პატივი, არა, — ამ ქალაქს დიდი ღვაწლი მიუძღვის სამშობლოს და მთელ კაცობრიობის წინაშეც; სახელოვანი წარსული აქვს ჰეიდელბერგსა.

დღეს ხუთასი წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც აქ პირველად დაარსდა უნივერსიტეტი, ის მეცნიერების წმინდა ტაძარი, სადაც მხოლოდ ჭეშმარიტების პირუთვნელი ხმა გაისმის. დღეს ხუთასი წელიწადია მას აქეთ, რაც აქ ალიმართა უმეცრების დამთრგუნველი, ძლევა-მოსილი დროშა მეცნიერებისა და დღევანდლამდინაც ეს დროშა არ დაკეცილა. ხუთის საუკუნის განმავლობაში აქ გაისმოდა სიტყვა ჭეშმარიტებისა, სიმართლისა და კაცთ-მოყვარეობისა; ხუთის საუკუნის განმავლობაში აქ სდევნიდნენ კაცთ-მძულვარებასა და ცრუ-მორწმუნეობასა. აქედამ მეცნიერებამ ცოტ-ცოტად განაბნია სიბნელე, მოჰფინა ნათელი და აღზარდა მამულის საუკეთესო შვილები.

აი რად სცემს დღეს გერმანია ასეთს დიდ პატივს ჰეიდელბერგს, აი რად შეჰყურებს ასეთის მოწიწებით ამ ქალაქსა!

⁂

აგვისტოს მეორე რიცხვი ნამდვილი სიხარულის და დღესასწაულის დღე იყო ჰეიდელბერგში. ამ დღეს აუარებელს ხალხს მოეყარა თავი ამ ქალაქში. ყველას განუსაზღვრელი სიხარული ეტყობოდა სახეზედ. მერე ვის არ ჰნახავდით აქ? აქ შეჰხვდებოდით ახალ-გაზდა სტუდენტებს, რომელთაც ჯერ უნივერსიტეტისთვის თავი არ დაუნებებიათ; აი მეორე ადგილას კიდევ მთელი ჯგუფი დგას და აღტაცებული მისალმება ერთმანერთისა, გულითადი ლაპარაკი მოისმის. აქ ბევრი ხნიერი, ქალარა-შერეული, თმა-გათეთრებული, ღრმა მოხუცი ურევია, ბევრი შუა ხნის კაცი და ბევრი ახალ-გაზდაც. ბევრს ბედი გაჰღიმებია, ცხოვრებაში ბედნიერება, სიმდიდრე მოუპოვებია; ბევრია ამათში სამსახურში წინ-წასული, წარჩინებული კაცი, ბევრია საქვეყნო მოღვაწე, და შეიძლება უფრო ბევრნი არიან აქ ისეთნიც, რომელნიც ცხოვრებას სრულიად დაუჩაგრავს.

დღეს აქ ესენი ყველაფერს ივიწყებენ, ცხოვრებისაგან ჩაგრულნი და არა-ჩაგრულნი დღეს აქ თანასწორნი არიან, დღეს აქ ყველა სტუდენტები არიან, ყველას სტუდენტური ფერად-ფერადი ქუდები ჰხურავთ, ყველას თვალ-წინ უდგა უნივერსიტეტი, ის უნივერსიტეტი, რომელიც ყველასთვის თანასწორ მოყვარული დედა იყო და არა დედი-ნაცვალი; ყველა იგონებს ახალ-გაზდობას, უზრუნველს ცხოვრებას, როცა მაღალის აზრებით და მთელის კაცობრიობის სიყვარულით იყვნენ გატაცებულნი; ყველას ახსენდება ის ბედნიერი დღენი თავის სიცოცხლეში, რომელიც ამ საერთო დედის კალთაში გაუტარებია... ყველას გული სიხარულით ევსება, როცა თავიანთ წარსულს იგონებს. ძველი მეგობრები და ამხანაგები, რომელნიც, ვინ იცის, რამდენი ხანია ერთმანეთს გაჰშორებიან და ერთმანეთი აღარ უნახავთ, დღეს ძველს დროს იგონებენ, ერთმანეთს მაგრა ხელს ართმევენ და გულითად სალამს აძლევენ... ვის გულს არ აატოკებს, ვის გრძნობას არ გააღვიძებს ამ გვარი სურათი!..

⁂

მობრძანდა ჰეიდელბერგში დღესასწაულზე დასასწრებად თვით გერმანიის ტახტის მემკვიდრე, მობრძანდა აგრეთვე ბადენის დიდი ჰერცოგი. დაიწყო ნამდვილი დღესასწაული. გაალეს დღესასწაულისთვის მომზადებული დარბაზი. იგრიალა ხალხმა და ერთს წამს მთელი დარბაზი გაივსო; ტევა აღარსად იყო, ნემსი არსად ჩავარდებოდა; კაცს განძრევა ვერ შეეძლო. მაგრამ ვინა ჰფიქრობდა ამ გვარ შეწუხებას. ყველას ერთისთვის უცემდა გული, ყველას მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებდა თავში: თავის ყურით მოესმინა, გაეგო ყველაფერი, რაც კი ითქმოდა იმ უნივერსიტეტზე, რომლის ერთი გახსენება სიხარულით ავსებს მის გულსა.

აქ იყვნენ ყველა სახელმწიფოს და სხვა-და-სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენელნი. გერმანიის, ინგლისის და საფრანგეთის წარმომადგენელთ საგანგებო, სადღესასწაულო ტანისა-

სკრის ხიდი ჰქონდეთო? ამის გარდა ნუ დაივიწყებთ იმასაცა, რომ ქარელის პირ-და-პირ გაღმა-მხრელთ ტყე ძალიან შორსა აქვთ, რადგან მტკვარში ვერ გადიან. ხიდი რომ ყოფილიყო ქარელში, ციციაანთ ტყეში ივლიდა რვასა და ათზედ მეტი სოფელი. რამდენი უბედურობა დატრიალებულა იმის გამოო, რომ რუისელებს, მებნელებსა და ურბნისელებს გაუბედნიათ მტკვარში შეშის ურმების გატანა და რამდენი კაცი უმსხვერპლია ამ მდინარეს ასეთის გამბედაობის გამო. ჩვენის აზრით, თთ. ციციაანთ უნდა ითაონ ეს საქმე, რადგან იმათი პირ-და-პირი ინტერესი არის აქ, რომ მთავრობამ სკრის ხიდი, უკვე სიძველის გამო გაუქმებული, გააუქმოს და ახალი ხიდი ქარელსა და ბებნისს შუა გასდოს, ან ქარელსა და დეგოთის წისქვილებ შუა, ურბნისს ახლო. ციციაანთ რომ შესაფერი ქაღალდი მიართვან ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს, განმარტონ დაწვრილებით ყოველივე ამ საქმის შესახები გარემოება, ჩვენ გვგონია, რომ თვით გუბერნატორი ითავებდა ამ საქმეს და სასურველად და საკეთილოდ გაათავებდა. შარშან ზაფხულს გუბერნატორმა თვით დაათვალიერა ეს ადგილები ცხინვალის გზატკეცილის კეთების დროს, გამოსცადა, რა ძნელია ბორნით მრავალის ხალხის და ცხენებისა და ურმების გადაყვან-გადმოყვანა, ან რა ძვირად უჯდება ხალხსა მაშინ, როდესაც სკრაში ხიდი, თუნდაც რომ შეკეთდეს, უქმად უნდა იყოს და მასზედ არავინ უნდა დაიარებოდეს.

⁂ რაჭის საფოსტო გზის გაფართოვება, როგორც გვატყობინებენ იქიდამ, უკვე დაუწყიათ. თუმცა-ღა ეს გზა ინჟინერების გამგეობაშიაო, მაგრამ მთავრობის გარდაწყვეტილების ძალით, ადგილობრივ გლეხებს ამუშავებენო უფასოდ, ხიდებს კი სახაზინო ფულებით აკეთებენო.

⁂ მცხოვრებლების აწერა (составленіе посемейныхъ списковъ) რაჭაში კიდეც გაუთავებიათ.

⁂ იგივე კორრესპონდენტი გვატყობინებს, რომ წარსულ ივლისის 18 რიცხვს ღ. ონში, ერთი ახალგაზდა თვრამეტის წლის გასათხოვარი ქალი რიონში ჩავარდა და თავი დაირჩო. გვამი დღესაც დაკარგულია თურმე. მიზეზი ამ უბედურის შემთხვევისა ჯერ არავინ იცისო. ამბობენ, ვითომ უიმედო სიყვარული უნდა ყოფილიყოს ამ უბედურობის მიზეზიო. ეს ქალი ღარიბის აზნაურის ობოლი იყო თურმე.

⁂ 5 აგვისტოს, საღამოზედ რკინის-გზით დაბრუნდა ტფილისში მთავარ-მართებელი კავკასიისა თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი და მეორე დღეს, დილის 10 საათზედ კოჯორში წაბრძანდა.

⁂ ივლისის თვის 15-დამ 31-მდე, პოლიციის ცნობებით შემდეგი ამბები მომხდარა: 2-ჯელ ცეცხლი გაჩენილა, 4 ყმაწვილი მიუგდიათ, 1 გაუცარცვავთ, 1 გაუქურდავთ და 1 გაქცეული ჯარის-კაცი დაუჭერიათ.

⁂ სამშაბათს, 5 აგვისტოს, ქალაქის არხიტექტორმა გასინჯა ახალი საზაფხულო თეატრი, ვასილიევის ბაღში, მიხაილოვის ქუჩაზედ. გასინჯვის შემდეგ აღმოჩნდა, რომ სცენა იმ გეგმაზედ არა ყოფილა აშენებული, რომელი გეგმაც გამგეობას დაუმტკიცებია, იმის მაგიერ, რომ მკვიდრი კედელი აეშენებინა ბაღის მოიჯარადრეს, უბრალოდ გაუფიცრავს. არხიტექტორმა ამაზედ განაჩენი შეადგინა და ქალაქის გამგეობაში წარადგინა. ქალაქის გამგეობამ განკარგულება გასცა, რომ ახლავე ააშენონ აგურის კედელი და თუ არ ააშენებენ, ამ თეატრში წარმოდგენები აიკრძალოსო. („კავკაზი“)

⁂ ტფილისში ზოგიერთი მამულთ-მეპატრონენი ქალაქის მიწას ავლებენ კლანჭსა და ისაკუთრებენ. თავიანთ სახლების კიბეს, ან კიბის რამდენსამე საფეხურს, ან სარდაფში ჩასავალს ტროტუარებზე გამოიტანენ ხოლმე და ამ გვარად მიწას ისაკუთრებენ. ამის გამო ქალაქის გამგეობამ ბრძანება გასცა, რომ ერთის თვის განმავლობაში მოშალონ ამ გვარი კიბეები, რადგანაც იმის გარდა, რომ ქალაქს მიწასა ჰპარავენ, გამვლელთ შეუძლიანთ ღამე ფეხი წამოსდონ, დაიშავონ რამე და ამის გარდა ქალაქიც უშნოვდებაო. ქალაქის გამგეობა ნებას აძლევს მამულის-მეპატრონეთ, მხოლოდ ერთად-ერთი საფეხური კიბისა გამოიტანონ გარეთ. ეს საფეხური 7 გოჯზედ უდიდესი არ უნდა იყოსო. („კავკაზი“)

⁂ 5 აგვისტოს, სასტუმრო „ველიკო-როსსიაში“ ერთს მომღერალ ქალს—„არფიანკას“ კარების რაზაზე თავი ჩამოუხრჩვია. მიზეზი ჯერაც არავინ იცის. გამოძიება სწარმოებს.

⁂ ახალ-ქალაქიდამ სწერენ გაზ. „კავკაზს“, რომ აქაურს მაზრაში, დუხაბორისში ივლისის უკანასკნელ რიცხვებში ისეთი სიცივე იყოვო, რომ გუბეები ერთის თითის სისქედ გაჰყინაო. მცხოვრებლებს ეშინიანთ, ამ ყინვამ მოსავალი არ წაგვიხდინოსო.

⁂ შუშიდგანა სწერენ გაზ. „ნორ-დარს:“ ამ დღეებში ერთის აქაურის მცხოვრებლის ქალმა თავის მოკვლა განიზრახა. მიზეზი ისა ყოფილა, რომ ეს ქალი დანიშნული იყო თურმე ერთს შუშელ კ—აზე. ქალის დედ-მამას რიგიანი საჩუქარი ვერ მიურთმევიათ ვაჟის ნათესავებისთვის, იმათ დაუძალებიათ ვაჟი და ჯვარის-წერაზე უარი უთქმევინებიათ. საბრალო ქალი შუაღამისას წამომდგარა და დანა დაუკრავს. ისე ცუდადა აქვს დანა დაკრული, რომ მორჩენის იმედი არა აქვსთო.

⁂ ამას წინედ მიხაილოვის ქუჩაზედ ვიღაც კაცი გამოვარდნილა დუქნიდგან. იმის საყურებლად მოგროვილა ხალხი. ამ კაცს ხელების ქნევით ლაპარაკი დაუწყია. დაუნახავს თუ არა მომავალი პოლიციელი, ყველასთვის ხელი ჩამოურთმევია, თითქოს ემშვიდობებაო და ცხენის-რკინის გზის ვაგონზე შემხტარა. ქუჩის ბიჭები და მედუქნეები გამოსდგომიან კიჟინით უკან. ვაგონი შეუყენებიათ, გადმოსულა იქიდგან ეს საოცარი კაცი და დაუწყია უთავბოლოდ ქუჩაში სირბილი. დასდევნებია უკან ხალხი ცალკე, პოლიციელი ცალკე, ძლივს-ძლივობით რიყეზე დაუჭერიათ და გიჟი აღმოჩენილა. («ნოვ. ობ.»)

⁂ 5 აგვისტოს, მე-8 ნაწილში, ავლაბრის ხიდის გვერდზე უპოვნიათ ვიღაც უცნობის დამრჩვალი გვამი.

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

სოფ. პატარძეული «უბედურს კაცს ქვა აღმართში მოეწევაო», ნათქვამია; სწორედ რომ წელს პატარძეულელებს ქვა აღმართში მოეწიათ: არა-ერთხელ ყოფილა „ივერიაში“ მოხსენებული, რომ პატარძეულში ხალხი მოუსავლობას უჩივის; ხალხის ჩივილს სამზღვარი არა აქვსო. ერთად-ერთი იმათი იმედი ვენახები-ღა იყო. აქედამ მთელი წლის სარჩოს გამოელოდა ხალხი. მართლაც და იმედი არ გაუცრუვდათ: შარშან კარგი მოსავალი იყო ღვინისა. მაგრამ მაინც-დამაინც რა გამოვიდა, პატარძეულში არც იმოდენა ვენახებია, რომ ღვინის მოსავალმა პურობაც გაუწიოს. ღვინო გაჰყიდეს, მაგრამ ნახევარ წლის სამყოფს პურს ძლივსა ჰყიდულობდნენ ღვინის ფულითა.

არა ნაკლებ აწუხებდა გლეხებს საქონლის საჭმელის უქონლობა. „ივერიაში“ დაწვრილებით იყო მოხსენებული, რა შედეგი ჰქონდა ჩვენში საქონლის საზდოს უქონლობას, მაგალითად: როგორ მოატყუა ერთმა ახალ-ციხელმა კრუამ ჩვენი გლეხები. წაასხა ცხრა ულელი საქონელი გამოსაკვებად, ექვსი თუმანი წინადვე გამოართვა, უნდა დანიშნულ ვადაზე ჩამოერეკნა, მაგრამ აგერ დღესაც მიდის.

წელს კარგი მოსავალი იყო; საზოგადოდ ივრის ხეობის ნიადაგი მეტად მდიდარია, რადგანაც სახნავს მიწებს ასველებენ. მაგრამ უბედურობა იმაშია, რომ კარგს მოსავალს ხელს შეუშლის ხოლმე ხანგრძლივი გოლვა, ხანგრძლივი წვიმები და სხვ. მაგრამ წელს არც ერთი არ გვწვევია, ჩვენდა საბედნიეროდ. უწინ დღიურს 15—20 ათეული ადიოდა, წელს 25—35-მდე ავიდა; მომკალი მუშა ადრევ სამი აბაზი, ან სამი ლიტრა პური იყო, წელს მუშა დღეში თხოულობდა ექვსს აბაზს, ან ხუთ ექვსს ლიტრა პურსა. მუშების სიძვირე იმიტომ იყო წელს ივრის ხეობაზე, რომ ქიზიყელები და ახლო-მახლო სოფლელები აღარ მოვიდნენ სამუშაოდ, რადგან ქიზიყშიაც კარგი მოსავალი იყო წელსა.

მკა გაგრძელდა 15 ივლისამდე, მაგრამ ივლისის 15-ს კი უბედურობა მოხდა ჩვენს მინდორში. დაგვლუპა გაძლიერებულმა ცეცხლმა. სამშაბათს, 15 ივლისს, საღამოს ოთხს საათზე, სოფელში შეიქმნა ყვირილი: არიქა, მინდორი იწვისო! სოფლის მამასახლისმა ი. მუჩიაურმა ფიცხლავ შეჰკრიბა ხალხი, გაუძღვა წინ და ჩაიყვანა მინდორში, სადაც ცეცხლი იყო. ოთხივ-კუთხივ შემოერტყა სამასამდე მუშა, ზოგი ნამგლით, ზოგი ჩოხებით ებრძოდნენ ცეცხლს, მაგრამ ვერ შეიკავეს. გლეხებმა არამც თუ მომკილი ძნა გადაარჩინეს, არამედ ბარგიც და ურმებიც კი ცეცხლის მსხვერპლი გახდა. რაკი დაინახეს გაძლიერებული ცეცხლი ნინო-წმინდელებმა, ბერთუბნელებმა, ხაშმელებმა და იქვე მახლობელმა მეზობლებმა მალაკნებმა, ყველა გამოიქცა საშველად, მაგრამ შენს მტერს, რომ მათ ვერა უშველეს-რა მინდორსა. გაძლიერებული ცეცხლი საზოგადოდ საზარელი სანახავია. მაგრამ უფრო საზარელი სანახავი იყო იმ დღეს, როდესაც გაფიცხებული მომკილი და მოსამკალი ყანები ნახევარს საათში სულ გაჰქრა და ფერფლად იქცა. სამწუხარო იყო ნახვა. ყველა იმას ჩიოდა და ტიროდა, რომ ნეტა არ მოგვემკო მაინცაო, ნეტა მომკაზე იმოდენა ხარჯი არ გაგვეწიაო.

სულ რომ მცირედ ვიანგარიშოთ, კიდევ დაიწვა ორმოცი დღის მოსამკალი და სამასი დღის მომკილი ძნა, ასე რომ წელს ცეცხლმა პატარძეულს 4,500 მანეთი ზარალი მოუტანა.

კიდევ კარგია, რომ გაძლიერებული ცეცხლი შეიკავეს ერთის მხრივ გზამ, მეორეს მხრივ ხევებმა და მესამეს მხრივ ნახნავებმა, თორემ შენი მტერი, მთელი ოთხი სოფლის მინდორი სულ გადიწვებოდა და შარ-

---

მოსი ეცვათ: შავი, მწვანე, მაყვლისა და იის-ფერი, ხავერდისა და ატლასის წამოსასხმელები და ანაფორები, ძველებური ქუდები, მხიარული ხავერდის მხრებზე წამოსასხმელი, ოქრომკედით შეკერილი და ბეწვეულით შემოვლებული,—ეს უცნაური ტანისამოსი შუა საუკუნოების დროს მოაგონებდა კაცსა.

წაიკითხეს ჰეიდელბერგის უნივერსიტეტის ისტორია, ჩამოთვალეს უნივერსიტეტის ყველა რექტორები, დიდის პატივით მოიხსენიეს რუპრეხტი, რომელიც ამ ხუთასის წლის წინად იყო უნივერსიტეტის პირველ რექტორად; ბევრი სიტყვა ითქვა; წაიკითხეს ზოგიერთი მოსალოცავი დეპეშები და წერილები,—ყველას წაკითხვა ყოვლად შეუძლებელი იყო,—სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენელთა, რომელნიც აქ დაესწრნენ, მიულოცეს თავიანთ უნივერსიტეტების სახელით. ამითი ოფიციალურად დღესასწაული უნდა გათავებულიყო...

ამ დროს გარეთ მუსიკამ დაუკრა და სტუდენტების ხორომ დაიწყო სიმღერა. მღეროდნენ გამოჩენილის გერმანიის პოეტის შეფელის ლექს, რომელიც ჰეიდელბერგზეა გამოთქმული. შეფელი თითონ ჰეიდელბერგის სტუდენტი იყო და სტუდენტობის დროს დასწერა ეს ლექსი, რომლითაც აქებს ჰეიდელბერგს და სხვათა შორის ამბობს, რომ ჰეიდელბერგის ბადალი ქალაქი მთელს რეინზე არ მოიპოვებაო. ეს ლექსი ძალიან უყვარს ეხლა გერმანიის ახალ-გაზდობას, და ძველმა სტუდენტებმაც კარგად იციან; იმათაც უმღერნიათ ეს ლექსი ახალგაზდობისას. მოისმა თუ არა გარედამ სიმღერის ხმა, ველარ მოითმინეს, გული აუტოკდათ და ათასმა კაცმა ერთად მისცა ხმა.

რა სანახავი უნდა იყოს, როცა ათასის კაცის ხმა ერთად გაისმის, ათასის კაცის გულში ერთი გრძნობა ილვიძებს! რაღაც განუსაზღვრელი, გამოურკვეველი სიხარული იტაცებს კაცს, გულს აღელვებული გრძნობა აწვება, თავში ათას გვარი აზრი უტრიალებს და მარტო ამას-ღა ამბობს: ბედნიერია ის ერი, რომელსაც ერთს დღეს მაინც შეუძლიან თავისი მუდმივი ვარამი და ვაგლახი, ყოველდღიური ბოროტი დაივიწყოს, და ამ გვარს განუსაზღვრელს და სულის აღმამაღლებელს სიხარულს მიეცეს! ბედნიერია ის ერი, რომელსაც ასეთი სახელოვანი წარსული აქვს! ბედნიერია კვლავ ის ერი, რომელსაც ასე მაღლა დაუყენებია მეცნიერება და დაუბადავს ამდენი მეცნიერებაში სახელ-განთქმული კაცი!..

⁂

თვით რომის პაპმაც კი მიიღო მონაწილეობა ჰეიდელბერგის დღესასწაულში, თუმცა, რასაკვირველია, თითონ „წმინდა მამა“ კი არ მობძანებულა ჰეიდელბერგში. ჰეიდელბერგის უნივერსიტეტმა მოწიწებით სთხოვა პაპსა, კეთილ ენება და დასწრებოდა დღესასწაულს. პაპს არაფრად იამა ასეთი კადნიერება იმ უნივერსიტეტისა, რომელზედაც გულ-ნაკლულად იყო. როცა გერმანიაში პროტესტანტობამ ცოტათი ფესვი გაიდგა, ჰეიდელბერგის უნივერსიტეტი, რომელიც წინად ერთგული მომხრე იყო პაპის ტახტისა, ეხლა პირველი გადუდგა კათოლიკეთა ეკკლესიასა. პაპს საბუთი ჰქონდა ამიტომ ეფიქრა, რომ ჰეიდელბერგი დაიცინებოდა, როცა პაპს დღესასწაულზე იწვევდა. მაგრამ ზრდილობიანობა მოითხოვდა, ზრდილობიან წერილზე ზრდილობიანი პასუხი მიეცა. და აი პაპმა არამც თუ მონაწილეობა მიიღო, ჰეიდელბერგის უნივერსიტეტს ერთი ძვირფასი საჩუქარიც გამოუგზავნა. ეს საჩუქარი გახლავთ ერთი დიდად ძვირფასი წიგნი. ამბობენ, ვითომ ამ საჩუქრის გამოგზავნა დაცინვა იყოს ჰეიდელბერგის უნივერსიტეტისა პაპის მხრივ. საქმე იმაშია, რომ ეს წიგნი, რომელიც პაპმა საჩუქრად გამოგზავნა, წინად ჰეიდელბერგის უნივერსიტეტს ეკუთვნოდა. როცა უნივერსიტეტი პაპს გადუდგა, პაპმა ეს წიგნი წაართო უნივერსიტეტს და რომში გადიტანა. და აი დღეს ისევ უკან უგზავნის.

⁂

ვერ ვიტყვით ნამდვილად, რა განზრახვით გაუგზავნა საჩუქარი ჰეიდელბერგის უნივერსიტეტს და ესპანიის დედოფალს კი რომ წმინდა გულით გაუგზავნიდა „ოქროს ვარდს“,—ეს კი ადვილად დასაჯერია, რადგანაც დედოფალი ერთგული მომხრეა პაპის წმიდა ტახტისა.

„ოქროს ვარდი“ საუცხოვო საჩუქარია და მეტი არ იქნება ორიოდე სიტყვა ესთქვათ ამ ძვირფასს საჩუქარზე. პაპი ყოველ წელიწადს დიდ-მარხვის მეოთხე კვირას აკურთხებს ხოლმე «ოქროს ვარდს». ამიტომ კათოლიკენი ამ კვირას „ვარდის კვირას“ ეძახიან. ამ ვარდს მერე გაუგზავნის ხოლმე რომელსამე გვირგვინოსანს სამეფო გვარეულობისას, უმეტესს ნაწილად ქალს და ამასთან უთუოდ კათოლიკეთა სარწმუნოების აღმსარებელსა. ეს ჩვეულება პაპებს ძველ დროიდგანვე აქვსთ შემოღებული.

ამ წელს «ოქროს ვარდი» პაპმა ესპანიის დედოფალს გაუგზავნა, რადგანაც პაპი ამ დედოფლის შვილის, ესპანიის კოროლის ნათლიაა. 2-ს ივლისს დიდის ამბით მიართვეს დედოფალს ეს საჩუქარი, მადრიდის სასახლის ეკკლესიაში. პაპის წარმომადგენელმა გარდასცა ვარდი დედოფალს და თან მოახსენა: «ეს ვარდი მებრძოლ ეკკლესიის სიხარულსა ჰნიშნავს, რადგანაც ვარდი, ეს ყვავილების მეფე, საუკუნო დიდების ნიშნადაც ითვლებაო». ჭურჭელი, რომელშიაც ვარდის ბუჩქია ჩასმული, ვერცხლისაა, ოქროში დაფერილი. ჭურჭლის ორ მხარეს

შანდელზედ უარესი წელიწადი დაგვიდგებოდა. კვლავ ამ დროს ყანების მკაც გაგვითავებია, ძნა მინდვრიდგან კიდევაც ამოგვიზიდნია, მაგრამ ქვა ალმართში მოგვეწია: საქონელს გაუჩნდა თურქული და ხელით საყენებელი გახდა. აქ ამოდენა ამოსაზიდი ძნა იყო და საქონელი კი კუტად იქცა. აი ეს იყო თავი-და-თავი მიზეზი, თორემ ცეცხლი ჩვენ ასე ხელ-ალებით არ დაგვლუპავდა.

ნიკო ლ—ძე

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

რუსეთის ჟურნალ-გაზეთობა თავს არ ანებებს ნემეცებს და დღესაც კიდე «გერმანიის მეგობრობაზე» ლაპარაკობს. სწორედ რომ ეს მეგობრობა საქმედ გაუხდათ. გერმანიის გაზეთებიც მართლა რომ საკვირველ მეგობრობას იჩენენ, მეტადრე როცა ბალტიის ზღვის პირის ნემეცებზე ჩამოუვარდებათ ლაპარაკი.

აი, მაგალითად, გაზეთი «Koelniçche Zeitung»-ი ძალიან გაუჯავრებია და გულზე მოუყვანია იმ ამბავს, რომ რუსეთის მთავრობას განზრახვა აქვს, დერპტის უნივერსიტეტის წეს-წყობილება ძირეულად შესცვალოს, ეს გაზეთი „Новости“, რომელიც ამ ბოლოს დროს ნემეცურ გაზეთებს კვალში ჩაუდგა და მოსვენებას არ აძლევს, ამის შესახებ ამბობს:

> ნემეცურ გაზეთის ზემოდ მოყვანილ სიტყვების შემდეგ, ჩვენ იმედი გვქონდა, რომ გაზეთი ნამდვილს, უცილობელს მაგალითებს მოიყვანს თავის აზრის დასამტკიცებლად. მაგრამ არა, ნემეცები სულ სხვა ლოგიკას მისდევენ. გაზეთი ამის მაგიერ აი რას ამბობს: დერპტის სტუდენტების ამ გვარ მიმართულების მადლიერნი უნდა ვიყვნეთო, რომ ოსტზეის მხარე დღესაც ისე უყურებს თავის თავს, როგორც გერმანიის ერთს პროვინციას.

⁂

აი რას იწერება ვარშავის გაზეთი «Вѣкъ».

> სოფ. პრუისუკში ცეცხლი გაჩნდა; დაიწვა ას-ოცზე მეტი სახლი; ცეცხლში დაიწვა სამი ყმაწვილი და ერთი ქალი. ორი ათასი სული კაცი ულუკმა-პუროდ დარჩა. მეორე დღეს ცეცხლი სხვა სოფელს მოედო და 30-ი სახლი გადიწვა. ამ დროს ხალხმა დაინახა ურია ვოლიანოვსკი, რომელიც გამორბოდა იმ ადგილიდამ, სადაც ცეცხლი ეკიდა. დაიჭირეს, სტანჯეს, გამოსთქვი, ცეცხლი შენ მოუკიდე ამ ჩვენს სოფელს, თუ არაო. ვოლიანსკი დაატუსაღეს; მაგრამ ხალხი მიიჭრა, კარები შეამტვრია იმ სადგურისა, საცა ტუსაღი ემწყვდია. თუმცა ადგილობრივი მთავრობა არ ანებებდა, მაგრამ ვოლიანსკი ურიებმა მოიტაცეს, მიიყვანეს მოკიდებულს სახლებთან და შიგ შუა ცეცხლში გადააგდეს. საბრალო სამჯერ ამოხტა ცეცხლის ალიდამ, მაგრამ სამჯერვე უკან ჩააგდეს. ვოლიანოვსკი წვრილ-შვილიაო; თითონ ცოტა ჭკუასუსტი და ავად-მყოფი ყოფილა. ამბობენ, რომ ამ ორის წლის წინად ებრაელების სასაფლაოზე საყარაულო სახლიც დაუწვავსო.

რუსეთი

—. ქალაქ გროზნაში, თერგის მაზრაში, ხალხის აღწერის დროს უპოვიათ ერთი კაცი, რომელიც ჯაჭვით ყოფილა დაბმული. ეს კაცი ურიათაგანი არისო და შეძლებული ოჯახის შვილიო; ამ თხუთმეტის წლის წინად ის გაგიჟებულა და ბორკილები დაუდვიათ; შემდეგ ბორკილები აუხსნიათ და ბოძზე ჯაჭვით დაუბამთ. თხუთმეტი წელიწადი ბმულა ტიტველა, რადგანაც ტანისამოსს იხევდაო და არ იკარებდაო. ფარდულში, სადაც ის ბმულა, გდებულა ერთი ლეიბი და ტომარა, რომელსაც ღამე იხურავდა თურმე საბნის მაგიერად; ზამთარში შეშას მიაწოდებდნენ თურმე, ან ნახშირსა, თითონ გააჩენდა ცეცხლსა და ისე თბებოდაო. მარტოდ მარტო დედა თუ მიეკარებოდა ხოლმეო; ეს უზიდავდა საჭმელს და თამბაქოს, რომელიც საშინლად ჰყვარებია; სხვას რაც უნდა მიეტანა, არაფერს გამოართმევდაო. როდესაც იპოვნეს ფარდულში, პრისტავმა მაშინვე შეახსნევინა ჯაჭვი; დაბანეს, პირი მოჰპარსეს და მაშინ ადამიანს დაემგვანაო. როცა ჰბანდნენ და ჰპარსავდნენ პირსაო, მშვიდობიანად იყოვო. ეყურებოდა, რასაც ელაპარაკებოდნენ; ორჯელ-სამჯერაც გაიღიმა ლაპარაკზეო, მაგრამ თითონ ვეღარ ლაპარაკობდა, მხოლოდ ღმუოდა და ჰგმინავდაო. თვალებში არეული არ არისო; ჯდომით წელში მოხრილა და დაკუზიანებულა, ფეხები ძვალ-ტყავი-ღაა და ამიტომ ვეღარ დადისო, მაგრამ ცოცვით კარგად ცოცავსო.

— ამ დღეებში სოფელ მოისეევაში, უფის გუბერნიაში, შემდეგი ამბავი მომხდარა: ერთს გლეხს მოჰყვანდა ქალაქში გასასყიდად ძროხა; მოისეევაში გზად გამოუვლია; გადაჰლობებიან წინ ამ სოფლის ვაჭრები და რაღაც შარი მოუდვიათ ძროხის პატრონისათვის, შეჰყოლიან ლაპარაკს და ჩხუბი მოსვლიათ; გლეხს მუცელი გაუფათრავს ვაჭრისათვის, მაგრამ გლეხიც მოუკლავთ. ეს ამბავი დღისით მომხდარა. ადმინისტრაციამ ამ საქმეს სასტიკი ყურადღება მიაქცია. სოფელ მოისეევაში არც დღე და არც ღამე ძე-ხორციელს არ გაევლება: ან მოგკლავენ, ან გაგცარცვამენო. ამას წინად ამ სოფელში, როცა ცოტა შეჰყინა წყლები, ერთს გუბეში რამდენიმე მოკლულის კაცის გვამი იპოვნესო; გაზაფხულზედ ნეხვში ჩაფლული კაცი იპოვნესო. ყველა ეს შერჩათ მოისეევლებსაო, მაგრამ ამ უკანასკნელს დროს მომხდარმა ამბავმა სრულიად შესცვალა საქმეო; გამოძიება დაინიშნაო. იმედია, ყველაფერი აღმოსჩნდება და სასჯელს მიეცემიან ეს ავაზაკებიო.

— დაბა პოტოკაში, კრემენჩუგს ახლო, ერთს გლეხს მდინარეში მოუკლავს უშველებელი ლოქო. ეს ლოქო თურმე სწოვდა გლეხის ძროხასა. გლეხმა შეატყო, რომ ძროხამ წველას უკლო; ხან-დის-ხან დაცარიელებული ჯიქანი მოჰქონდა. ეგონა, რომ თვალი სცა ვინმემაო და წამლობა დაუწყო. მაგრამ არა ეშველა-რა. ურჩიეს, თვალ-ყური ედევნებინა ძროხისათვისა, იქნება მინდორში სწველავს ვინმეო. გლეხმა თვალი დაიჭირა. ერთხელ შენიშნა, რომ ძროხა გამოვიდა ნახირიდამ და ჩადგა მდინარეში; ამ დროს მოცურდა ძროხასთან ლოქო და წოვნა დაუწყო. გლეხს შეეშინდა, რადგანაც იმ მდინარეში არსად არ ენახა ამოდენა ლოქო; ჯიქან დაცლილი ძროხა გამოვიდა მდინარიდამ და სახლისკენ გასწია. ძროხა გლეხმა გარედ აღარ გაუშვა; თითონ უყარაულა ლოქოსა და როდესაც ლოქომ ამოჰყო თავი წყლიდამ, ესროლა თოფი და მოჰკლა. ლოქო სიგძით ორი ადლი ყოფილა და კაცის სისქეო.

უცხოეთი

ინგლისი. ინგლისის გაზეთებში დაწვრილებით არის აწერილი ის უწესოება, რომელიც ხალხმა ბელფასტში მოახდინა ამას წინადა: სადილთ უკან დაბალი ხალხი შეყრილა; პოლიციას უთხოვნია, რომ დაშლილიყვნენ, მაგრამ ხალხს ქვის სროლა დაუწყვია; პოლიციამ, მეტი ღონე აღარ იყო, იარაღი იხმარა და რამდენიმე კაცი დასჭრა. საღამოზე უფრო უარესობა იყო; პოლიციამ აღარ დაზოგა; იხმარა იარაღი და მთელი ქუჩა დაჭრილ-დახოცილით მოჰფინა; თვრამეტი კაცი გაჰგზავნეს საავად-მყოფოშიო. დიდი ამბავი მოხდა ერთის დუქნის წინ, სადაც მთელი რაზმი პოლიციელთა იდგა.

მეორე დღეს ისევ დაიწყო უწესოებაო. ამ დღეს პირველად შეიტაკნენ კათოლიკები და პროტესტანტებიო. პოლიციამ ძლივს ვაი-ვაგლახით გააშველა მეამბოხენი და ქუჩებიდამ სრულიად განსდევნაო; ამ ორის დღის განმავლობაში 12 კაცი მოკვდაო და 50 დაიჭრაო. ქალაქის გამგეობა საჩქაროდ შეიკრიბა, რომ რამე ღონის-ძიება გამოენახათ ხალხის დასამშვიდებლად; კრების შემდეგ გამოაცხადეს, რომ ექვსის საათიდამ დუქნები დაიკეტოს ხოლმე და ქუჩა-ქუჩა ნუღარ ივლიან საზანდრებიო (მუსიკის დამკვრელები). ამასობაში დუბლინიდამაც მოაშველეს ჯარი, რომ წესიერება აღედგინათ. ხალხი ცოტა არ იყოს შეაშინა დუბლინიდამ მოსულმა ჯარმაო.

— ლონდონიდამ სწერენ გაზეთს „Indépendance Belge“-სა: როცა ლორდი იდდესლეი აირჩიეს გარეშე საქმეთა მინისტრად, ყველას გაუკვირდაო; მაგრამ ეს გაკვირვება დიდხანს არ გასტანსო. ლორდი იდდესლეი გონიერი, პატივ-ცემული და თავ-დაჭერილი კაციაო. ამისთანა კაცი თავს არ აიმსუბუქებს და საქმეს არ წაახდენსო. როცა კი ამ კაცს შემთხვევა ჰქონია და გარეშე საქმეთა პოლიტიკაში გარეულაო, დიდი გონების გამჭრიახობა გამოუჩენიაო. ამიტომ მოსალოდნელია, რომ საქმეს არ წაახდენსო. ამასაც ამბობენ: იდდესლეის არ მიანებებენ თავსა, რომ მარტო ჰმართოს გარეშე სამინისტროს საქმეებიო. სალისბერი, მთავარ-მინისტრი ინგლისისა, რომელსაც სულის ცხონებასავით უყვარს გარეშე საქმეებში გარევა და ხელის ფათური, თავის მიმართულებას მისცემს, თავის ბეჭედს დაასვამს გარეშე საქმეთა სამინისტროს პოლიტიკასაო.

საფრანგეთი. ლეიარდი, ინგლისის კონსული ნუმეიაში, სწერს თავის მართებლობას: საფრანგეთის გემი გავიდა, რომ ახალ-გებრიდის კუნძულებზე თავისი ბაირაღი აემართნაო. როცა ნავთ-სადგურიდამ დაიძრა გემი, გამოაცხადეს, რომ არც ერთი სხვა გემი არ გამოუშვათო. „ეს იმიტომ გამოაცხადესო, ამბობს კონსული, რომ მე არ გავსულიყავი და ინგლისის ბაირაღი არ ამემართნაო.“ ამიტომ ორი გემი ჩააყენეს ნავთ-სადგურის გასავალში და მეც ორი ღამე ყურს მიგდებდნენ იდუმალადაო. ამ წერილს ვატან კაპიტანს როქტონს, რადგანაც საფრანგეთის ფოსტას არ ვენდობიო; ამათი ფოსტა ამ ათს წელიწადში ძალიან კარგად გავიცანიო.

— გაზეთმა „Figaro“-მ გაავრცელა ხმა, რომ სამხედრო მინისტრი გენერალი ბულანჟე სამსახურიდამ გამოდისო. სხვა გაზეთები კი უარ-ჰყო-

---

ორი ანგელოზია ჩამოსხმული, რომელთაც ჰურჯლის ყურები უჭირავთ. ჰურჯლის წინა მხარეზე დახატულია წმიდა ქრისტინეს სახე, უკანა მხარეს ზედ-წარწერაა ლათინურ ენაზე.

თვით ვარდის ბუჩქი ხალას ოქროსია. ბუჩქზე ცხრა მთლად გაშლილი ყვავილია, თოთხმეტი კოკორი და ასი ფოთოლი,—ესენი სულ ხალასის ოქროსია. ბუჩქის კენწეროზე ერთი ყვავილია, რომელსაც, როცა უნდათ, მაშინ შეუძლიანთ გაშალონ. ამ ყვავილში სუნნელოვანი მური და მუშკია ჩასხმული, როგორც ძველს დროს იყო ჩვეულებადა.

ჰურჯელს და ვარდის ბუჩქს ერთად ერთ არშინამდე სიმაღლე აქვსთ.

⁂

რაკი ლაპარაკი ჩამოვაგდეთ პაპზე და ესპანიის დედოფალზე, სიტყვას ნუღარ გავწყვეტავთ და ცოტა პაპის ნათლულზე, პაწია, ძუძუთა ესპანიის კოროლზე, ალფონს მე-XIII-ზედაც ვსთქვათ რამე.

ამ პაწია გვირგვინოსანთან მოდიან სახელმწიფო კაცნი, უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი, მათი მეუღლენი და ისე ინახულებენ, როგორც ნამდვილ საქმის მმართველ მეფესა. წარმოიდგინეთ, დრო და საათიც არის დანიშნული, როდის ინებებს მათი დიდებულება, ეს და ეს კაცი ინახულოს. პაწია ხელმწიფე მიიღებს ხოლმე მხოლოდ შუადღის პირველ საათიდამ სამ საათამდე, ეტყობა საუზმის შემდეგ და სადილის წინ.

ამ ხანებში საფრანგეთის ელჩის მეუღლეს ნება-რთვა ებოძა ენახა კოროლი ალფონსი XIII. მთელი დრო, მანამ ეს პატივცემული მანდილოსანი კოროლის ოთახში ბძანდებოდა, კოროლს წყნარად, მოსვენებულად ეძინა. მეფის ძიძას არ მოეწონა, რომ კოროლი პატივს არა სცემს მანდილოსანს და ძალად გამოაღვიძა. კოროლს ძალიან ეწყინა, რომ გაუბედეს და ძილი დაუფთხეს, განრისხდა, ჯავრობა დაიწყო... მერე ისეთი ხმა მაღლა მორთო ტირილი, რომ ელჩის მეუღლე უნდა საჩქაროდ გამოჰმშვიდებოდა განრისხებულს მეფეს. სასახლის კარის ქალმა მოითხოვა ბოდიში ელჩის მეუღლის წინაშე, რომ მეფე დღეს ცოტა კარგს გუნებაზე ვერ არის და ამიტომ ასე ჯავრიანი იყოვო, თქვენ ამას დიდს მნიშვნელობას ნუ მისცემთო.

ესპანიის მეფე აკვანშივე პოლიტიკოსობას იჩენს, ეტყობა საფრანგეთზე მწყრალად არის ალფონსი XIII, რომ საფრანგეთის წარმომადგენელის მეუღლე ასე გულის წყრომით მიიღო...

⁂

ესპანიის კოროლი, ალფონსი, რომ პოლიტიკოსობს, ეს გვესმის. თუმცა კოროლი ჯერ ძუძუთაა და აკვანში წევს, მაგრამ მაინც მეფეა და სახელმწიფო საქმეებზე უნდა იზრუნოს. მაგრამ ეს მოხუცი ოსმალი, ჰაფიზ-მაჰმადი რომ პოლიტიკაში ერევა, ეს რაღა არის, ამას რაღა ხელი აქვს პოლიტიკაში.

ეს მაჰმადი ის გახლავთ, რომელსაც დიდის ვეზირის ქიამილ-ფაშის მოკვლა უნდოდა და ვერ მოუხდა. დამნაშავე თვით სულთანთან მიიყვანეს. როდესაც სულთანმა ჰკითხა: რად გინდოდა დიდის ვეზირის მოკვლაო?—მოხუცმა ბებერმა უპასუხა: «ფადიშაჰ! დიდი წინასწარ-მეტყველი მაჰმადი ბრძანებს: «ობლის ქონებას ხელს ნუ ახლებო». მე ერთი ობოლი-მოხუცი გახლავარ; ცოლი ავადა მყავს; სამართალმა დამჩაგრა... ყველაფერზე ხელ-ცარიელი დამსვა... მართალი შენ ყურებამდე არ აღწევს. შენ იმისთანა ვეზირნი გახვევიან გარს, რომელთაც მლიქვნელობის, ცბიერობის და მონურის მორჩილების მეტი არაფერი იციანო »

აქამდინ კიდევ არაფერი. მაჰმადი გამბედავი მოხუცი ყოფილა. თვით სულთანსაც არ ერიდება და მართალს პირში ეუბნება. მაგრამ შემდეგ კი ჰაფიზ-მაჰმადი ისეთს ცოდნას იჩენს პოლიტიკაში, რომ ვერ გაგვირჩევია: საწყალი ობოლი-მოხუცი ლაპარაკობს ამას, თუ პირველი ვეზირი თათბირობს სულთანთან.

აი, მაგალითად, როგორ განაგრძო თავის სიტყვა მოხუცმა მაჰმადმა.

„თუმცა დიდი წინასწარ-მეტყველი მაჰმადი ბძანებს: ქვეყანაზე არა მოხდება რა, თუ ნება არ არის ღვთისა, რომელიც ანათლებს კაცის გულსა, «და მიუწდომელ არიან გზანი უფლისანი»,—მაგრამ შენ მაინც, ფადიშაჰ, ყურადღება მიაქციე შენ სახელმწიფოსა, რაიმე ღონის-ძიება მოიპოვე, რომ სახელმწიფო განსაცდელიდამ იხსნა. შეჰხედე, რას ჰგავს შენი სახელმწიფო! ხომალდიეით, რომელსაც აღარც საჭე აქვს და აღარც იალქნები, დასცურავს ზღვაზე უგზო-უკვლოდ და დღეს თუ არა, ხვალ ქარი მიახეთქებს სადმე კლდეს და სრულიად შეჰმუსრავსო.“

ჰხედავთ, როგორი მჭევრ-მეტყველი და შორს-გამჭრიახი პოლიტიკი ყოფილა ეს ობოლი-მოხუცი! ნამდვილი დიპლომატია! ამ ახირებულმა დიპლომატმა ეს არ იკმარა, თითქო შიშობდა, იქნება სულთანმა ჩემი სიტყვები ვერ გაიგოვო და აი ასე გაათავა თავისი სიტყვა:

„შენ ხომ გესმის, ფადიშაჰ, რის თქმაც მინდა მე?.. დღეს ყველა მართლ-მორწმუნე ოსმალი იმას ამბობს, რომ ევროპას ჰსურს ოტომანების სახელმწიფო გაანაწილოსო“...

ეს კი შეიძლება სულთანს კარგად ესმოდეს, მაგრამ ის კი ძნელი გასაგებია, როგორ და საიდამ შეიძინა ასეთი ცოდნა პოლიტიკისა ერთმა ვიღაც ობოლმა მოხუცმა, საწყალმა ჰაფიზ-მაჰმადმა.

დონ-იავო

ფენ და არა სჯერათ, თუ ბულანჟე სამსახურს დასტოვებს.

— ამ ჟამად ტონკინიდამ სასიამოვნო ამბები მოსდის საფრანგეთსა. ანამაშიაც სუფევს მშვიდობიანობაო. მარტო მკათათვეში ტონკინიდამ შემოსულიათ ბაჟის ფული 300,000 ფრანკი.

— მომავალის წლის გაზაფხულამდინ საფრანგეთის ჯარს მსწრაფლ-მსროლი თოფი დაურიგდებაო. ამ თოფს ეძახიან «მაღაზინის თოფსა», ამიტომ რომ რამდენიმე სროლა ჩადის შიგა და ზედი-ზედ, მიყოლებით შეიძლება სროლა. საფრანგეთის მსწრაფლ მსროლი თოფისთანა თოფი არავისა აქვსო; ამაზე უკეთესს ვერას წარმოიდგენს კაციო.

* * *

გერმანია. ბერლინის ოფიციოზური გაზეთი „Post“-ი ამბობს: ამ დღეებში სამხედრო მინისტრმა განკარგულება მოახდინა, რომ 11-ე, 7-ე და 8-ე კორპუსებს გერმანიის ჯარისას დაურიგდეს „მაგაზინის თოფი“. ამბობენ, რომ გაზაფხულამდინ მთელი გერმანიის ქვეითი ჯარი ამ თოფით იქმნება შეარაღებულიო.

* * *

ბელგია. ბრიუსელიდამ იწერებიან მკათათვის 28-სა, რომ მორვალენცში ქუჩა-ქუჩა 10,000-მდე მუშა ხალხი დადიოდაო სიმღერითა და კიჟინითაო. უწესოება არა მომხდარა-რაო. გენტში 2,500 მუშა დადიოდაო; აქაც მშვიდობით ჩაიარა მათმა სეირნობამაო; ვასმშიაც 1,000-მდე მუშას უვლია ქალაქში და უწესოება არ ჩაუდენიაო.

* * *

ესპანია. მადრიდიდამ სწერენ გაზეთს «Indèpendance Belge»-სა, რომ რესპუბლიკის დეპუტატს, პოლკოვნიკს პორტუონდოს, ბარსელოეში უთქვამს, ესპანიაში რესპუბლიკური მართებლობა უნდა გამოეაცხადოთო.

* * *

დეპეშა

აგვისტოს 7-სა

ლონდონი. ახალ შემდგარს პარლამენტს კოროლევამ სეფე სიტყვით მიჰმართა და სთქვა: გარეშე პოლიტიკაში არ გვერევითო; ერმა დაამტკიცა ის გარდაწყვეტილება, რომელიც წინანდელმა პარლამენტმა მიიღო ირლანდიის გამგეობის შესახებო. სიტყვაში კიდევ ნათქვამია, რომ მართებლობა კვლავ მოითხოვს იმ სახარჯო ფულს, რომელიც ადრინდელს სამინისტროს ჰქონდა სახეშიო. ამ ფულით უნდა გაწარმოვოთ შინაური ხელმწიფო საქმეები ამ წლის დამლევამდეო.

აგვისტოს 8-სა

პეტერბურგი. ოთხშაბათს პრეობრაჟენსკის პოლკისა და გვარდიის არტილერიის პოლკის დღესასწაულის დღეს, კრასნოსელსკის სასახლეში, პარადის შემდეგ, მომზადებული იყო საუზმე 360 კაცისათვის. რადგანაც ამ რიცხვშივე იყო ავსტრიის იმპერატორის დაბადების დღე, ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნი ავსტრიის ლენტებით იყვნენ და საუზმეზედაც მაიწვიეს საელჩო ავსტრიისა. საუზმეზედ ხელმწიფე იმპერატორმა ორი სადღეგრძელო მიირთვა: ერთი ავსტრიის იმპერატორისა და მეორე პრეობრაჟენსკის პოლკისა და გვარდიის არტილერიისა.

„Новое Время“ ამბობს, რომ მინისტრთა კომიტეტმა დაადგინაო; სავალდებულო იქმნას რკინის გზათა საზოგადოებათათვის გზათა სამინისტროს წინადადება იმის თაობაზე, რომ დანიშნულს ვადაზე წარდგენილ იქმნას ხოლმე დასამტკიცებლად მთავრობის-მიერ პროექტები სამზღვარს გარედ სიარულის ტარიფებისა. ამას გარდა წარდგენილ იქმნას ხოლმე დასამტკიცებლად დადგინებანი რკინის გზას საქმეთათვის დაწესებულის რჩევისა, ის დადგინებანი, რომელიც შეეხება სამზღვარ გარედ სიარულის საქმესაო.

რომი. გუშინ ხელ მოწერილ იქმნა მორიგება ვატიკანსა და ჩერნოგორიის შორის იმის თაობაზე, რომ კათოლიკეთა ინტერესები დაცულ იყოს ხოლმე სამთავროშიო.

ლონდონი. როდესაც ლორდთა პალატაში გაიმართა კამათობა სეფე-სიტყვის პასუხის შედგენის თაობაზე, სოლისბერიმ სთქვა, რომ სიგძე საცილობელის მიჯნის ავღანის სამზღვრებზე ოცი მილიაო, და დაუმატა: უფრო უკეთესი იქმნება, კაბინეტებმა პირ-და-პირის მოლაპარაკებით გაათავონ საქმე, ვიდრე გამმიჯვნელთა კომისიას ერთი ზამთარი კიდევ გაატარებინონ იმ ქვეყნებშიო. ირლანდიის თაობაზე სოლისბერიმ სთქვა, რომ განზრახვა გვაქვს დავნიშნოთ მთავრობის კომისია საადმინისტაციო რეფორმის განსახილველადაო, და რომ მთავრობას ჰსურს დაიცვას საზოგადო წესიერება ირლანდიაში ჩვეულებრივის კანონების შემწეობითაო; მაგრამ თუ ამ კანონებით საქმეს არა ეშველება-რა, მთავრობა მოითხოვს ნება-რთვას სხვაფრივ იმოქმედოსო.

გუშინ კონსერვატორების კლუბში გარეშე საქმეთა მინისტრმა იდდესლეიმ სთქვა: ინგლისს ჰსურს დღეიდამ მისდიოს არა სენსაციურს პოლიტიკას, არამედ მტკიცესა და ნამდვილს პოლიტიკასაო, მხოლოდ ამ გვარს პოლიტიკას შეუძლიან მიანიჭოს ქვეყანას მშვიდობაო.

* * *

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპვ (1886) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7394**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უჱო=478 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მბ=42 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნადები—3.

აგვისტო 31 დღით არის

9 დღე შაბათი. წმ. მატათა მოციქ. კათოლ. წმ. მოწ. ანაკლეტასი პაპ. სომეხ. ეფესოს წმ. კრებისა 200 მამა-მთავართა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—57. ტფილისში მზე ამოდის 5—14, ჩადის 6—51; მთვარე ამოდის 10—33, ჩადის 11—2.

10 დღე კვირა. წმ. მოწ. ლავრენტისა. კათოლ. წმ. ლავრენტისა. სომეხ. ალების ღამე წმ. ღვთის მშობლის მარხვისა. მარხვაა 5 დღე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—42. ტფილისში მზე ამოდის 5—15, ჩადის 6—50; მთვარე ამოდის 11—12, ჩადის 12—3.

11 დღე ორშაბათი წმ. ქალწ.-მოწ. სუსანნასი. კათოლ. წმ. ქალწ.-მოწ. ფილიუმენისა. სომეხ. პირველი დღე მღვთისმშობლის მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—2—27. ტფილისში მზე ამოდის 5—16, ჩადის 6—48; მთვარე ამოდის 11—57, ჩადის 1—3.

* * *

გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

2 ივლისიდამ 1-ლ აგვისტომდამ.

თეთრი პური რუსული 1 გ. რ	5 კაპ
წითელი პური 1-ის ხარისხისა .	2½
› › 2 ›	2 ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის.	4½ ›
› › 2—	3 ›
› › 3 ›	2½ ›
ჯვარის მამის პურის ლავაში	
1-ლის ხარისხისა . .	4½ ›
მე-2 ხარისხისა . .	3½ ›
მე-3 — . . .	3 ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა.	7 ›
‹ › 2	6 ›
სუკი	12 ›
ცხვრის ხორცი . . .	6 ›

* * *

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ:

ბათუმიდამ გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუადღ. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკს და კერჩში შევლის შორის გზით. შაბათობით 8 საათ. საღამოზე (ყველა ნავთ-სადგურებში შევლის).

კვირაობით საღამოთი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამეს შორის გზით, მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

შაბათობით სტამბოლიდამ მოდის დილით.

* * *

განცხადებანი

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

რობინზონ კრუზე, თხზულება დეფოსი, თარგმანი რუსულიდგან ანასტასია თუმანიშვილისა. გამოცემა „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა.“

ფასი ექვსი შაური

საწყობი წიგნისა არის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების კანცელარიაში, ბანკის ქუჩაზე (Банковскій переулокъ), სახლის № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში; ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების და ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიებში. ვინც ნაღდ ფულზედ იყიდის თვით საზოგადოების კანცელარიაში არა ნაკლებ 10 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნი ხუთ შაურად.

„თეატრი“

საყოველ-კვირაო ლიტერატურული გაზეთი განაგრძობს მეორე ნახევარის წლის ხელის მოწერას.

წლიური ფასი	5 მან.
ნახევარ წლიური . . .	3 მან.

სხვა გადით ხელის-მოწერა არ მიიღება.

ხელის-მოწერა და განცხადებები მიიღება მხოლოდ ქ. თბილისში—რედაქციის კანტორაში, არწრუნისეულ ქარვასლაში, № 110.

ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ამ ადრესით შეუძლიანთ დაიბარონ გაზეთი: Тифлисъ, Въ редакцію газеты „Театръ“

რედაქტორ-გამომცემლის მაგიერი

ვ. გუნია.

ბიბლიოგრაფიული განცხადება

დაიბეჭდა

ქილილა და დამანა

მეფის ვახტანგ VI-სა

გრიგოლ გურიელის გამოცემა

ილია ჭყონიას რედაქციით.

ფასი სამი მანათი.

საწყობი წიგნისა არის წერა კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების სამმართველოში, ბანკის ქუჩა (Банковскій переулокъ), № 23. ისყიდება ტფილისში: გრიქუროვის და ჩარკვიანის წიგნთა მაღაზიებში, ქუთაისში—ძმათა ჭილაძეების წიგნთა მაღაზიაში; ხონში—ნესტორ წერეთლის წიგნთა მაღაზიაში. ოზურგეთში—რაჟდენ წუწუნავასთან. ვინც ერთად ნაღდ ფულზე იყიდის თვით საზოგადოების სამართველოში არა ნაკლებ 20 ცალისა, იმას დაეთმობა წიგნზე ათი შაური.

გამოცემა გ. დ. ქართველიშვილისა.

ახლად დაიბეჭდა და ისყიდება თბილისში გრიქუროვის და ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში:

ვახუშტი

საქართველოს ისტორია

განმარტებული და შევსებული ახლად შეძენილის არხეოლოგიურის და ისტორიულის ცნობებით

დიმიტრი ზ. ბაქრაძის მიერ.

ნაწილი პირველი

ძველის საქართველოს საზოგადო ქარტით.

შედგენილი და დახატული ქვაზედ ნ. ი. წილოსნისაგან, და ამოჭრილი გ. ტატიშვილისაგან.

თითო წიგნი ღირს სამ მანათად.

ამ წიგნის შინაარსია: 1) სამი წინა-სიტყვაობა: პირველი, ანუ განხილვა ძველის ქართულის ხრონოლოგიისა (ვახუშტისა); მეორე, ანუ ცნობა ვახუშტზე და იმის ქარტებზე (ბროსსესი); მესამე, ანუ ქართულის ისტორიის წყაროები და და «ქართლის ცხოვრების» ღირსება (ბაქრაძისა). 2) საქართველოს ძველი წესდებანი და ზნე-ჩვეულებანი; ისტორია ძველის დროდამ 1469 წლამდე, ანუ საქართველოს დანაწილებამდე სამეფო-სამთავროებად.

აქ შენიშვნებში შემოტანილია, გარდა მსოფლიო ისტორიულის ცნობებისა, რომელნიც გვიჩვენებენ უცხო-ტომთ გავლენას ჩვენს გვარ-ტომზე, ის ცნობანი, გარეგანნი და შინაგანნი (სხვა-და-სხვა ხრონიკებიდამ, გუჯრებიდამ და წარწერებიდამ), რომელნიც არიან აღმოჩენილნი ჩვენ დროს.

წიგნის ბოლოს ჩართულია: 1) ახალ დამატებაში შთამომავლობის ხე მეფეთა და მთავართა გიორგი VIII-მდე († 1469 წ.). აქ თვითოეულს მეფობაში ნაჩვენებია ყოველივე მის დროს შესანიშნავი ისტორიული შემთხვევა ისე, რომ ეს დამატება შეიცავს ცალკე შემოკლებით მთელს საქართველოს ისტორიას; 2) საზოგადო საქართველოს ქარტა ძველის ისტორიულის ნომენკლატურით (სახელ-წოდებით), იმ გვარად დახატული, რომ იმის მთახეობათა მიმდინარეობა ადვილად უჩვენებს ბუნებითს დანაწილებას ჩვენის ქვეყნისას თემ-თემებად.

ამ გვარადვე შესდგება მეორე და მესამე ნაწილი «ვახუშტის ისტორიისა». «მეორე ნაწილს» საგნად ექნება: ქართლის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია; კახეთის სამეფოს გეოგრაფია და ისტორია. აქ ჩაერთვის ქართლ-კახეთის მეფეთ შთამომავლობა და ქართლ-კახეთის ქარტა. ჩაერთვის აგრეთვე მხატვრობა, როგორც ყველა ქართულის მანათობისა მათის განმარტებით, აგრეთვე ჩვენის მწერლობის ნიმუშებისა ძველის დროდამვე ისე, რომ მკითხველმა ყველა საუკუნოების მწერლობის ხასიათი შეიგნოს. ეს ნაწილი გამოვა მომავალ წელში.

მესამე ნაწილი, გეოგრაფია და ისტორია დასავლეთის საქართველოისა, ანუ იმერეთისა და სამცხე-საათაბაგოსი თავის შთამომავლობით და ქარტით და სრულის ალფაბეტით გამოიცემა 1887 წელს.

(20—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ 8 августа, 1886 года. სტამბა გ. მელიქიშვილისა, არწრუნისეულ ქარვასლაში №№ 26, 27, 28. რედაქტორი და გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.